


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის და განათლების ხარისხის სპეციალისტის ლია ფარტენაძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 28 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N13);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს წინამდებარე დოკუმენტის გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეცაა ის შემუშავებული.
6. წინამდებარე მეთოდოლოგია ძალას კარგავს ახალი მეთოდოლოგიის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

შინაარსი

1.	გავრცელების სფერო.....	5
2.	ნორმატიული მითითებები	5
3.	ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები.....	5
4.	მიზანი და რეგულირების სფერო	6
5.	კვლევის მეთოდები და ამოცანები	7
6.	კვლევების განხორციელების პროცედურა და პერიოდულობა	9
7.	ცვლილებები და დამატებები	11
8.	კონფიდენციალურობა	11
	დანართი 1 პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა	12
	დანართი 2 პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილების კვლევა	13
	დანართი 3 დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა	14
	დანართი 4 პროფესიული კურსდამთავრებულის კვლევა	15
	დანართი 5 დამსაქმებლის კმაყოფილების კვლევა	16
	დანართი 6 მსმენელთა კმაყოფილების კვლევა	17
	დანართი 7 ბიბლიოტეკის სარგებლობის კმაყოფილების კვლევა	18
9.	დებულების პერიოდული შემოწმებების ფურცელი	20
10.	პერსონალის დებულებაზე გაცნობის ფურცელი	21
11.	შეთანხმების ფურცელი	22



1. გავრცელების სფერო

- 1) ბუსსს ანრის მიზანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სისტემური მიდგომის დანერგვა. ამ მიზნით სასწავლებელში ხორციელდება კვლევები რომელთა მეთოდოლოგიას განსაზღვრავს წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი.
- 2) მეთოდოლოგია წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს და ვრცელდება შპს ბუსსს ანრის მთელ პერსონალზე;
- 3) დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში, ელ.ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე;
- 4) აღრიცხული ეგზემპლარების რეგისტრაცია და საჭიროებისამებრ დაგზავნა წარმოებს ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:


- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- 4) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები;
- 5) საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
- 6) ნდ N2-020101 – ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
- 7) ნდ N2-0201-01– დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე მეთოდოლოგიაში გამოყენებულია ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები, რომლებიც მოყვანილია ხარისხის სახელმძღვანელოში და აგრეთვე ნორმატიულ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია მექანიზმი, ხოლო ყველაზე უფრო მახასიათებელი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები მოყვანილია ქვემოთ

3.1 ტერმინები და განმარტებები

- 1) **მეზღვაურთა მომზადება და წვრთნა** - მეზღვაურთა მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირება მოკლევადიან საწვრთნელ კურსებზე „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის შესახებ“ (STCW) საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად;
- 2) **მოქმედი დოკუმენტის საკონტროლო ეგზემპლარი** - დოკუმენტის ეგზემპლარი რომელიც ინახება მოქმედ დოკუმენტთა ფინდში;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology


- 3) მსმენელი - მეზღვაურთა მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირების მოკლევადიანი საწვრთნელი კურსზე დამსწრე პირი;
- 4) ნორმატიული დოკუმენტი (ნდ) - დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
- 5) პასუხისმგებელი პირი - პირი, რომელიც დანიშნულია გენერალური დირექტორის მიერ ბუსსს ანრის დოკუმენტების ფონდის სრული აქტუალიზაციისა და შენახვისათვის;
- 6) პერსონალი - ბუსსს ანრის საშტატო თანამშრომლები, პროფესიული მასწავლებლები, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორები, დამკვირვებლები, შემფასებლები, მოწვეული პერსონალი;
- 7) პროფესიული მასწავლებელი - პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების მწარმოებელი პირი;
- 8) ინსტრუქტორი - მეზღვაურთა მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირების მოკლევადიანი საწვრთნელი კურსების მწარმოებელი პირი;
- 9) ხარისხის სამსახური - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური
- 10) შიდა კვლევა - პროფესიული სრუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, პერსონალის გამოკითხვა სხვადასხვა მიმართულებით

3.2 შემოკლებები

- 1) ბუსსს ანრი (ტექსტში სასწავლებელი) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- 2) ხმს - ხარისხის მართვის სისტემა

4. მიზანი და რეგულირების სფერო

- 1) მეთოდოლოგია არეგულირებს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში (შემდგომში - სასწავლებელში/ ბუსსს ანრი) პროფესიული განათლების და მეზღვაურთა მომზადებისა და წვრთნის მიმართულებით კვლევების ჩატარებას.
- 2) მეთოდოლოგიის მიზანია - სასწავლებელმა განახორციელოს პროფესიული განათლების და მეზღვაურთა მომზადებისა და წვრთნის მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე შიდა და გარე კვლევები, რათა მან შეძლოს არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება/ანალიზი, არსებული ხარვეზის გამოსწორებისთვის და შემდგომი საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვისთვის.
- 3) საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების და მეზღვაურთა მომზადებისა და წვრთნის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლებლის წესდების, შიდა ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედი დებულებით, სასწავლებლის უფლებამოსილი ორგანოს/ორგანოებისა და გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

5. კვლევის მეთოდები და ამოცანები

- 1) ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიული განათლების და მეზღვაურთა მომზადებისა და წვრთნის მიმართულებით შემუშავებული აქვს კვლევის სხვადასხვა მეთოდი (რაოდენობრივი, თვისებრივი, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა), რომელიც იძლევა პროცესის სიჯანსაღის სხვადასხვა კუთხით გაანალიზების საშუალებას; გამოკითხვის ფორმებში და ანალიზში გაწერილია კვლევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან პირი, კვლევის ჩატარების პერიოდი, ძირითადი პარამეტრები რაც მოკლევადი იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და სხვა, გათვალისწინებულია რომ კვლევა უნდა იყოს მეთოდოლოგიურად გამართული და სანდო.
- 2) სასწავლებელში მიმდინარე საქმიანობის შეფასება და მისი განვითარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის - შიდა და გარე საჭიროებების დადგენის საფუძველზე.
- 3) ბუსსს ანრის შიდა საჭიროებების დადგენის დროს კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი, მსმენელი, ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ხოლო გარე საჭიროებების დადგენის დროს - დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები, შრომის ბაზარი და სხვა.
- 4) კვლევებით დგინდება შრომის ბაზრის მოთხოვნა, დამსაქმებლის კმაყოფილება, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, მსმენელის, პროფესიული მასწავლებლის, ინსტრუქტორის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, კმაყოფილება, ამასთან პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამების (შემდგომში „პროგრამა“), საწვრთნელი კურსების, სასწავლო და საწვრთნელ პროცესების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.
- 5) რაოდენობრივი კვლევით შესაძლებელია დადგინდეს:
 - პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა, კერძოდ: სტუდენტური სერვისების, სასწავლო პროცესის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. კმაყოფილება პროფესიული სტუდენტის მხრიდან.
პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებლის საგანმანათლებლო საქმიანობა. კვლევის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი აფასებს მოდულს, მის მოცულობას, სწავლის შედეგების მიზნობრიობას, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, სწავლების მეთოდებს, პრაქტიკულ კომპონენტს, მასწავლებლის კომპეტენციას, სასწავლო რესურსებს (მასალები, ლიტერატურა), ბიბლიოთეკას და ა.შ. და აფიქსირებს კმაყოფილებას/უკმაყოფილებას.
 - პროფესიული მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა, კერძოდ: ინფრასტრუქტურის, სერვისების, სამუშაო პირობების, მხარდაჭერის სერვისების და ა.შ. კმაყოფილება მოწვეული პერსონალის მხრიდან.
პროფესიული მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა მნიშვნელოვანია იმისთვის რომ დაიხვეწოს მოდულებში დამხმარე ჩანაწერები, მათ შორის განახლდეს




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

სასწავლო რესურსი, სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში აღმოიფხვრას ხარვეზები სასწავლო პროცესის მატერიალური რესურსებით დროულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

- **მსმენელის კმაყოფილების კვლევა**, კერძოდ: საწვრთნელი პროცესის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. კმაყოფილება მსმენელის მხრიდან.
მსმენელის კმაყოფილების კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორის საქმიანობა. კვლევის ფარგლებში მსმენელი აფასებს საწვრთნელ კურსის განხორციელების პროცესს, მის მოცულობას, სწავლის შედეგების მიზნობრიობას, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, სწავლების მეთოდებს, პრაქტიკულ კომპონენტს, ინსტრუქტორის კომპეტენციას, სასწავლო რესურსებს (მასალები, ლიტერატურა), ბიბლიოთეკას და ა.შ. და აფიქსირებს კმაყოფილებას/უკმაყოფილებას.
 - **დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა**, კერძოდ: ინფრასტრუქტურის, სერვისების, სამუშაო პირობების, მხარდაჭერის სერვისების, ხელფასი/წახალისების, IT მომსახურების და ა.შ. კმაყოფილება პერსონალის მხრიდან.
 - **დამსაქმებლის კმაყოფილების კვლევა** ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამების განვითარებისთვის. დამსაქმებლის კმაყოფილების გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამაში ცვლილებების განხორციელება.
დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა, სადაც დაწესებულება ღებულობს უკუკავშირს და სასწავლებლის პროფესიული სტუდენტისა თუ კურსდამთავრებულის შეფასებას.
 - **პროფესიული კურსდამთავრებულთა კვლევა**, კერძოდ, პროფესიულ კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროგრამისა და ბუსსს ანრის კმაყოფილების შესწავლა; პროფესიულ კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება; დაუსაქმებლობის შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება; დასაქმებულ პროფესიულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილების შესწავლა; სასწავლებელში მიღებულ განათლებასა და პროფესიულ კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირის გამოვლენა;
 - **პერსონალის კმაყოფილების კვლევა**, კერძოდ: ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან სასწავლებლის მართვის პროცესებით კმაყოფილება, მაგალითად როგორცაა: მართვის სტილი, შრომის ანაზღაურება, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, მხარდამჭერი სერვისები, სასწავლო პროცესი და სხვა.
 - **ბიბლიოთეკით სარგებლობის კმაყოფილების კვლევა** - ბუსსს ანრის ბიბლიოთეკის მსარგებლელთა კვლევა, ბიბლიოთეკის ბაზის გაუმჯობესების მიზნით.
- 6) თვისებრივი კვლევები ხორციელდება ინდივიდუალური ინტერვიუებისა და ჯგუფური დისკუსიის (ფოკუს ჯგუფი) გზით. ფოკუს ჯგუფი შესაძლოა იყოს



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია


Internal research methodology

მაქსიმუმ 8-10 პირისგან შემდგარი. ჯგუფური დისკუსიის ან/და ინდივიდუალური ინტერვიუების თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ვინ იქნება სამიზნე ჯგუფი და რამდენი ჯგუფური დისკუსია გაიმართება გადაწყვეტილებას იღებს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული განათლების დეპარტამენტთან ერთად. მტკიცებულებად წარმოდგენილი შეიძლება იყოს ფოტო ან/და აუდიო მასალა (ფოკუს ჯგუფის წევრების, მონაწილეების თანხმობით) და დგება შესაბამისი ოქმი.

- 7) სასწავლო და საწვრთნელ პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უტყუარი ინფორმაცია:
- ✓ პროფესიული სტუდენტების ინტერესზე ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის ან მოდულის მიმართ, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს კონკრეტული განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციასთან;
 - ✓ მსმენელების ინტერესზე ცალკეული საწვრთნელი კურსის პროგრამის ან სილაბუსის მიმართ რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს კონკრეტული განმახორციელებელი ინსტრუქტორის კომპეტენციასთან;
 - ✓ კონკრეტული მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის, ან საწვრთნელი კურსის სირთულის ხარისხზე;
 - ✓ პროფესიული სტუდენტის, მსმენელის მომზადების დონეზე;
 - ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის და/ან ინსტრუქტორის მომზადების დონეზე/კვალიფიკაციაზე/კომპეტენციაზე/პიროვნულ თვისებებზე;
 - ✓ შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობაზე; სასწავლო მასალების (მატერიალური, საბიბლიოთეკო) საკმარისობაზე;
 - ✓ სასწავლო ცხრილების შესაბამისობაზე სასწავლო გეგმასთან;
 - ✓ შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობაზე;
 - ✓ შეფასების მტკიცებულებების ვალიდურობაზე;
 - ✓ მოდულის, სილაბუსის ზედმეტ სიმარტივეს ან სირთულეზე და ა.შ.

6. კვლევების განხორციელების პროცედურა და პერიოდულობა

- 1) ნებისმიერი სახის კვლევებს ბუსსს ანრიში ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული განათლების დეპარტამენტის, მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის და ადამიანური რესურსების სპეციალისტის ჩართულობით.
- 2) საჭიროების შემთხვევაში კვლევების ჩატარების მიზნით (შრომის ბაზრის კვლევა) შესაძლებელია მოხდეს სასწავლებლის მიერ სხვა ორგანიზაციის, დაწესებულების ან პირების დაქირავება (მკვლევარი/კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია).
- 3) ჩასატარებელი კვლევის ინსტრუმენტები/კითხვარები მტკიცდება სასწავლებლის უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ის შესაძლებელია ექვემდებარებოდეს




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

მოდულიზირებას კვლევის ყოველი ეტაპის დაწყების წინ (კითხვის ფორმულირების დახვეწა, დამატება, ამოღება და ა.შ.).

- 4) ფოკუს ჯგუფის ან ინტერვიუების შემთხვევაში კვლევის ინსტრუმენტი/ძირითადი კითხვები დგინდება თითოეული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად. მტკიცდება შესაბამისი ოქმით ან/და აუდიოჩანაწერით და დასწრების ფურცლებით.
- 5) კვლევის პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. კერძოდ:
 - ✓ პროფესიული სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთჯერ;
 - ✓ პერსონალის (პედაგოგიური და ადმინისტრაციული) კმაყოფილების კვლევა წელიწადში ერთჯერ;
 - ✓ პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთჯერ;
 - ✓ კურსდამთავრებულის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ორ წელიწადში ერთხელ;
 - ✓ დამსაქმებლის კმაყოფილების კვლევა ორ წელიწადში ერთჯერ;
 - ✓ მსმენელების კმაყოფილების კვლევა წელიწადში ორჯერ (ყოველ 6 თვეში);
 - ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის კმაყოფილების კვლევა წელიწადში ორჯერ (ყოველ 6 თვეში);
 - ✓ ფოკუს ჯგუფი ან ინდივიდუალური ინტერვიუება, ასევე მტკიცებულებების კვლევა შესაძლებელია ჩატარდეს საჭიროებისამებრ.
- 6) კვლევის სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პერიოდულობისაგან განსხვავებული სიხშირით საჭიროებიდან გამომდინარე.
- 7) ელექტრონული გამოკითხვების, ჯგუფური ან/და ინდივიდუალური ინტერვიუების, ამასთან მტკიცებულებების გადამოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება ხორციელდება კვლევების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ან/და საჭიროებისამებრ.
- 8) ელექტრონული გზით ჩატარებული კვლევები ვალიდურად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ გამოკითხვაში მონაწილეობას იღებს რესპოდენტების არანაკლებ 40%-ისა.
- 9) კვლევების შედეგების ანალიზის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია კვლევების განმახორციელებელი, რომელიც შესაძლოა იყოს შიდა ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ან დაქირავებული პირი ან ორგანიზაცია;
- 10) კვლევების შედეგების ანალიზის შედეგად ანგარიშის მომზადებასა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კომუნიკაციაშია პროფესიული განათლების დეპარტამენტთან და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრთან.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology


- 11) კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით სასწავლებელი უფლებამოსილი პირი/ორგანო ახორციელებს რეაგირებას, რომელიც შესაძლოა იყოს ხარვეზების გამოსწორების შესახებ დამატებითი დავალებების გაცემა ან შესაბამისი გაუმჯობესების/მაკორექტირებელი გეგმა.
- 12) კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი საქმიანობის სწორად დასაგეგმად (პროგრამების დამატება/მოდულიზაცია და ა.შ.).
- 13) სასწავლებლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე რეაგირებას გაეცნობიან კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები/რესპოდენტები, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას მიიღონ გამოკითხვაში მონაწილეობა და იყონ გახსნილები.

7. ცვლილებები და დამატებები

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში პროფესიული განათლების და საწვრთნელი პროცესების განვითარებისთვის კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით სასწავლებლის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

8. კონფიდენციალურობა

მეთოდოლოგია წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

დანართი 1

პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა

მფ-02-№193-08-11.04.19

ძვირფასო სტუდენტებო!

გამოკითხვა მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. ძალიან გთხოვთ მაქსიმალურად ამომწურავი და გულწრფელი პასუხები გასცეთ შეკითხვებს, იყავით ობიექტურები, რათა გათვალისწინებულ იქნას თქვენი შენიშვნები და ხელი შეგვიწყობთ სასწავლებლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში!

გამოკითხვა ანონიმურია!

თარიღი: _____

რომელ პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ ?

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს, იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, რომელზეც სწავლობთ.

ჩემი აზრით, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას	სრულიად ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ მაქვს სათანადო ინფორმაცია
ვფიქრობ, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან	სრულიად ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ მაქვს სათანადო ინფორმაცია

იცნობთ თუ არა სასწავლებლის ეთიკისა და ქცევის წესებს


- დიახ, მსმენია მის შესახებ
- დიახ, კარგად ვიცნობ მას
- არ, არ მსმენია ასეთი დოკუმენტის შესახებ

რეაგირებს თუ არა სასწავლებელი ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევის ფაქტებზე?

- დიახ
- არა
- არ მსმენია ეთიკის წესების დარღვევის ფაქტის შესახებ

ხუთქულიან სკალაზე შეაფასეთ:

- სასწავლებელში სწავლების ხარისხი 1 2 3 4 5
- ინფორმაციის სრულყოფილად მიღება 1 2 3 4 5
- დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა 1 2 3 4 5



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

დანართი 2

პროფესიული მასწავლებლის
კმაყოფილების კვლევის შეფასების ფორმა

მფ-02-№192-08-28.06.21

ძვირფასო კოლეგებო!

გამოკითხვა მიზნად ისახავს პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. ძალიან გთხოვთ მაქსიმალურად ამომწურავი და გულწრფელი პასუხები გასცეთ შეკითხვებს, იყავით ობიექტურები, რათა გათვალისწინებულ იქნას თქვენი შენიშვნები და ხელი შეგვიწყობთ სასწავლებლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში!
გამოკითხვა ანონიმურია!

თარიღი: _____

რამდენი წელია ასწავლით ბუსსს ანრიში ანრიში?

- 1 წლამდე
- 2 -3 წელი
- 3 წელი და მეტი

რომელი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ხართ ჩართული?

ინფრასტრუქტურა,მატერიალური, ტექნიკური, საინფორმაციო და ელექტრონული რესურსები ქმნის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს


- დიახ
- ნაწილობრივ
- არა

გთხოვთ, 5 ქულიან სკალაზე შეაფასოთ თქვენი კმაყოფილება

• ადმინისტრაციის საქმიანობით	1	2	3	4	5
• ბიბლიოთეკის საქმიანობით	1	2	3	4	5
• საბიბლიოთეკო რესურსებით	1	2	3	4	5

რას გააუმჯობესებდით (მართვა, მატერიალური / ტექნიკური რესურსები, სერვისები, კომუნიკაცია...)? მისაღებია რამდენიმე პასუხი

მადლობა თანამშრომლობისთვის!



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

დანართი 3

პერსონალის კმაყოფილების კვლევის შეფასების ფორმა

მფ-02-№194-08-28.06.21

ძვირფასო კოლეგებო!

გამოკითხვა მიზნად ისახავს პერსონალის კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.

ძალიან გთხოვთ მაქსიმალურად ამომწურავი და გულწრფელი პასუხები გასცეთ შეკითხვებს, იყავით ობიექტურები, რათა გათვალისწინებულ იქნას თქვენი შენიშვნები და ხელი შეგვიწყობთ სასწავლებლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში!

გამოკითხვა ანონიმურია!

თარიღი: _____

რამდენი წელია დასაქმებული ხართ დაწესებულებაში?

- > 2
- > 2-5
- > 5-10
- > 10 და მეტი

რამდენად მისაღებია და ადეკვატურია თქვენი სამუშაო გრაფიკი?

- > სრულიად მისაღებია;
- > ნაწილობრივ მისაღებია;
- > არ არის მისაღები

გამართულად მუშაობს თუ არა საინფორმაციო ტექნოლოგიები?

- > დიახ;
- > ნაწილობრივ;
- > არა

მონიშნეთ ფაქტორები რომლებიც გაზრდიდა შესასრულებელი სამუშაოს ეფექტიანობას:


ფაქტორი	პასუხები
ხელფასის გაზრდა	
შესრულებული სამუშაოს შედეგების მეტი დაფასება, მადლობის	

გთხოვთ, 5 ქულიან სკალაზე შეაფასოთ თქვენი კმაყოფილება

ადმინისტრაციის საქმიანობით	1	2	3	4	5
ბიბლიოთეკის საქმიანობით	1	2	3	4	5

რას გააუმჯობესებდით (მართვა, მატერიალური / ტექნიკური რესურსები, სერვისები, კომუნიკაცია....)? (მისაღებია რამდენიმე პასუხი)

მადლობა თანამშრომლობისთვის!



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

დანართი 4

პროფესიულ კურსდამთავრებულთა კვლევის ფორმა

მფ-02-№193-08-11.04.19

კითხვარის მიზანია იმ პროფესიული კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომლებიც დასაქმდნენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად დროის მისაღებ პერიოდში

პროფესიული კურსდამთავრებულის სახელი და გვარი _____

მინიჭებული
კვალიფიკაცია _____


დამსაქმებლის ორგანიზაციის სახელწოდება _____

გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც წააწყდით სამუშაოს მოძიების პროცესში?

რომელ წყაროებზე დაყრდნობით, რა გზებითა და მეთოდებით მოიძიეთ სამსახური (დაგეხმართ სასწავლებელი, პირადი კავშირები, ინტერნეტი, და ა. შ.)?

კვალიფიკაციის მიღების შემდეგ დროის რა პერიოდში დასაქმდით?

დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

დანართი 5

დამსაქმებლის კმაყოფილების კვლევა

მფ-02-№157-08-28.06.21

თქვენთვის მინიჭებული რამდენიმე წუთი დაგვებმარება სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვაში და ვიზრუნოთ იმ უნარებსა და შესაძლებლობებზე, რომელთა დახმარებას მოსწავლეები შეძლებენ ძიების პროცესში.

თარიღი: _____

ორგანიზაციის დასახელება	
ორგანიზაციის სფერო	
დანიშნულების ორგანიზაცია (ქალაქი)	
თქვენი პოზიცია ორგანიზაციაში	

რამდენი ადამიანი მუშაობს თქვენს ორგანიზაციაში?

- 1) 1-10
- 2) 11-40
- 3) 41-100
- 4) 100 და მეტი

მუშაობენ თუ არა ბუქსს ანრის პროფესიული სტუდენტები თქვენი ორგანიზაციისთვის?

- 1) დიას
- 2) არა
- 3) ამჟამად არა, მაგრამ წარსულში მუშაობდა.
- 4) ამ დროისთვის არა, მაგრამ ვგეგმავთ სტაჟიორის აყვანას.

გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ის ძირითადი მახასიათებლები, რაც პროფესიულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს თქვენს კომპანიაში დასაქმების მიზნით:


რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ მეზღვაურს?

გთხოვთ, შეაფასოთ თითოეული უნარი 10-ბალიან სკალაზე. 1 პუნქტი არის მინიმალური და ნიშნავს, რომ ამ ქონების თვისებები არ არის მნიშვნელოვანი თქვენი ორგანიზაციისთვის, 10 არის მაქსიმალური და ნიშნავს, რომ თქვენს ორგანიზაციაში დასაქმებულს უნდა ჰქონდეს ეს თვისება.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დამოუკიდებელი აზროვნების უნარი										
პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი, სიტუაციაში მენეჯერის მონაწილეობის გარეშე										

თქვენი რეკომენდაცია, კომენტარი

გმადლობთ თანამშრომლობისთვის.
თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია!



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

დანართი 6

მფ-№-02-058-08-28.06.21/G

მსმენელის კმაყოფილების შეფასების ფორმა

შეესების თარიღი _____

კურსების დასახელება _____

გთხოვთ, შეაფასოთ 1 დან 5 ქულამდე


მსმენელთა მომსახურების განყოფილების თანამშრომელთა მომსახურება	1	2	3	4	5
ინფორმაციის სრულყოფილად მიღება	1	2	3	4	5
დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა	1	2	3	4	5
ინსტრუქტორთა კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი	1	2	3	4	5
მომზადების ხარისხი	1	2	3	4	5
სასწავლო მასალის გადმოცემა, გაგება	1	2	3	4	5
კურსების და სიმულატორების შესაბამისობა აუდიტორიებთან	1	2	3	4	5
სიმულატორების გამოყენება	1	2	3	4	5
მსმენელის ცოდნის შემოწმება და შეფასება	1	2	3	4	5
ევაკუაციის გეგმა, ავარიული გასასვლელები	1	2	3	4	5
უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილება	1	2	3	4	5
უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა	1	2	3	4	5
კომფორტი	1	2	3	4	5
სანიტარულ ჰიგიენური ნორმები	1	2	3	4	5

ხართ თუ არა ჩვენი მომსახურების არაერთიწლის მომხმარებელი? კი არა

ურჩევთ თუ არა თქვენს ახლობლებს ჩვენს დაწესებულებას? კი არა

თქვენი რეკომენდაცია, რჩევა, პრეტენზია

მადლობა თანამშრომლობისთვის!



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია


Internal research methodology

დანართი 7

მფ-02-№196-08-11.04.19

ბიბლიოთეკით სარგებლობის კმაყოფილების კითხვარის ფორმა

- 1) რამდენად ხშირად სარგებლობთ თუ არა სასწავლებლის ბიბლიოთეკით?
 - ა) რეგულარულად
 - ბ) კვირაში 1-2ჯერ
 - გ) სემესტრში 1-2 ჯერ
 - დ) თითქმის არ ვსარგებლობ
- 2) რამდენად გაკმაყოფილებთ ბიბლიოთეკის ფონდები(დაცული მასალები და მათი რაოდენობა)?
 - ა) სავსებით მაკმაყოფილებს
 - ბ) არა, რადგან ზოგიერთი მასალა არ მოიძებნა
 - გ) პასუხი არ მაქვს, რადგან თითქმის არ ვსარგებლობ ბიბლიოთეკით
- 3) სასწავლებლის ბიბლიოთეკაში სივრცე არის თუ არა მუშაობისთვის / მეცადინეობისთვის საკმარისი?
 - ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 4) ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ლიტერატურა შეესაბამება თუ არა სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამებს?
 - ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 5) ბიბლიოთეკაში საკმარისი რაოდენობითაა თუ არა კომპიუტერული ტექნიკა?
 - ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 6) ბიბლიოთეკას აქვს თუ არა ლიტერატურის ელექტრონული ძებნის მოსახერხებელი სისტემა?
 - ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 7) კომპიუტერული ტექნიკა მუდმივად ხელმისაწვდომია თუ არა სტუდენტებისთვის?
 - ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 8) ბიბლიოთეკის პერსონალი ეხმარება თუ არა სტუდენტებს ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენებაში?
 - ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 9) ნაშრომების მოძიებისას რა არის თქვენთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო?
 - ა) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი
 - ბ) ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები, ელექტრონულ მატარებლებზე დაცული მასალები
 - გ) სამეცნიერო ჟურნალები ინტერნეტიდან
 - დ) საიტები, სადაც განთავსებულია უკვე მოძიებული რეფერატები, ნაშრომები
 - ე) სხვა
- 10) ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია თუ არა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა?
 - ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 11) კომპეტენტურია თუ არა ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი?




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

- ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 12) თავაზიანია თუ არა ბიბლიოთეკის პერსონალი?**
- ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 13) ხელმისაწვდომია თუ არა ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგები (Evergreen; OpenBiblio) ?**
- ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 14) სარგებლობთ თუ არა ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებით?**
- ა) დიახ, რეგულარულად
 - ბ) სემესტრში 2-3-ჯერ
 - გ) ძალიან იშვიათად
 - დ) არა, რადგან არ მჭირდება
 - ე) არა, რადგან არ ვიცოდი ამ შესაძლებლობის შესახებ
- 15) ბიბლიოთეკის რა რესურსებს იყენებთ ინფორმაციის მოძიების მიზნით?**
- ა) ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით (OpenBiblio, Evergreen)
 - ბ) ონლაინ ბიბლიოთეკების რესურსებით (Ebsco)
 - გ) ელექტრონულ მატარებლებზე დაცული მასალებით
- 16) საკმარისია თუ არა ბიბლიოთეკის სამუშაო საათები თქვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (ლიტერატურის მოძიება, გაცნობა, სასწავლო მასალის დამუშავება, საერთაშორისო ბაზებთან მუშაობა, და ა.შ.)?**
- ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 17) კავშირის რა საშუალებებს იყენებთ ბიბლიოთეკის პერსონალთან კომუნიკაციის მიზნით?**
- ა) მიმოწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით
 - ბ) კომუნიკაცია სოციალური ქსელების მეშვეობით
 - გ) სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)
- 18) ბიბლიოთეკის შესახებ ინფორმაციას და სიახლეებს ვიღებ:**
- ა) სოციალური ქსელიდან
 - ბ) სასწავლებლის ოფიციალური ვებ-გვერდიდან
 - ბ) sms შეტყობინების მეშვეობით
 - გ) სხვა
- 19) კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკის ერგონომიკული გარემოთი (გათბობა, ვენტილაცია, განათება და ა.შ.)?**
- ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 20) როგორ აფასებთ ბიბლიოთეკაში ინტერნეტის და WI-FI კავშირის ხარისხს?**
- ა) ვსარგებლობ WI-FI, მისი ხარისხი დამაკმაყოფილებელია
 - ბ) თითქმის არ ვსარგებლობ WI-FI, რადგან მისი ხარისხი დაბალია
 - გ) თითქმის არ ვსარგებლობ WI-FI, რადგან მე ეს არ მჭირდება
 - დ) არ ვსარგებლობ WI-Fi, რადგან არ ვიცოდი ამ შესაძლებლობის შესახებ
- 21) კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით მთლიანობაში, მისი რესურსებისა და ფუნქციონირების ყველა ასპექტის გათვალისწინებით?**
- ა) ვეთანხმები
 - ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ) არ ვეთანხმები
- 22) რა უნდა შეიცვალოს ბიბლიოთეკაში სტუდენტის მუშაობის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით?**




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

10. პერსონალის პროცედურასთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	გურამ ქათამაძე	პრორექტორი	05.06.2021		
2	ვლადიმერ ზოგდანოვი	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი	05.06.2021		
3	თამთა ჩხეიძე	საქმისმწარმოებელი	05.06.2021		
4	ვიქტორია სიმონიანი	საქმისმწარმოებელი	05.06.2021		
5	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის უფროსი	05.06.2021		
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

11. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

Internal research methodology

ნდ N-2-0401-01

1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე;
განათლების ხარისხის სპეციალისტის ლია ფარტენაძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \
_____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შენიშვნა
1	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი აკაკი ესანჯია			
2	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი მათა დავითიანი			
3	ადამიანური რესურსების სპეციალისტი სალომე ზაქარიაძე			

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა

_____ ხელმოწერა

_____ გვარი, სახელი

_____ თარიღი